# ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის

# პრიორიტეტების დოკუმენტი

2022-2025 წლები

## შესავალი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც გლობალურ, ისე საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე, პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა საქართველო, დანარჩენი მსოფლიოს მსგავსად. პანდემიამ გავლენა იქონია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. ასევე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მუნიციპალიტეტის 2022 წლის და საშუალოვადიანი პერიოდის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესზე, ვინაიდან გართულდა მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების ბიუჯეტის პარამეტრების მაქსიმალური სიზუსტით განსაზღვრა.

მთლიანობაში მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტს არ განუცდია მნიშვნელოვანი ცვლილებები, არ შეცვლილა ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები. 2022 წლიდან მისაღები დამატებითი რესურსით მინიმალურად, ინფლაციის შესაბამისად შესაძლებელია გაიზარდოს მიმდინარე ხარჯები, არსებული პარამეტრებით ზრდის ნაწილი მიმართულია ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით მომზადდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახელების წარმოდგენილი პროგნოზები. ამასთან, საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებისას ასევე მხედველობაში იქნა მიღებული მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები და ვალდებულებები, ყველა ის სოციალური და ინფრასტრუქტურული დაპირება რაც გაცემულია მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს მიერ.

## თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

**ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი** - ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული - **მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის მხარში.** 1927 წლამდე ახლანდელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორია სიღნაღის მაზრაში შედიოდა. 1930 წლიდან ჩამოყალიბდა ცალკე რაიონად. აღმოსავლეთით ესაზღვრება აზერბაიჯანის რესპუბლიკა, დასავლეთით — ყვარლის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით — დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა, სამხრეთით საზღვრავს სიღნაღისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტები. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ფართობია 890, 2 კმ². ტერიტორიის 38 979 ჰა მოდის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, რაც შეადგენს მთლიანი ტერიტორიის 44%-ს. ტყეებს უკავია 41 162 ჰა (46%).

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურაა 13°C. ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს 650 მმ-იდან 1080 მმ-მდე. აქაური კლიმატისთვის დამახასიათებელია სეტყვა და გვალვა. მაღალმთიან ნაწილებში განვითარებულია ზომიერად ნოტიო ჰავა, იცის ცივი ზამთარი და გრილი ზაფხული, ნალექების წლიური მოცულობა კი 1200-1800 მმ-ს აღწევს.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი მდიდარია ზედაპირული და გრუნტის წყლებით. მთავარ ჰიდროგრაფიულ ქსელს ქმნის მდინარე ალაზანი, რომელიც ჩამოედინება გურჯაანისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტების საზღვარზე. სხვა მდინარეებიდან აღსანიშნავია კაბალი, მაწიმისწყალი ლაგოდეხისწყალი, არეში და აფენისხევი.

2014 წლის მდგომარეობით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 41 678 კაცს, აქედან ქალაქში ცხოვრობს 5918 კაცი, ხოლო სოფლად ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 91% (35760

კაცი). მუნიციპალიტეტში 64 დასახლებაა, აქედან 1 ქალაქია და 63 სოფელი. მოსახლეობის სიმჭიდროვეა 58 კაცი/კმ², რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (67 კაცი/კმ²) ოდნავ ჩამოუვარდება.

მუნიციპალიტეტში დასახლებული 41678 მოსახლიდან 20953 ქალბატონია, ხოლო 20725 მამაკაცი. მათ შორის საქალაქო დასახლებებში რეგისტრირებულია სულ 5918 პირი, მათ შორის 2752 მამაკაცი და 3166 ქალბატონი. სასოფლო დასახლებებში რეგისტრირებულია 35760 მცხოვრები მათ შორის 18201 მამაკაცი და 17559 ქალბატონი.

სამწუხაროდ საქართველოში არ არსებობს სტატისტიკა მთლიანი შიდა პროდუქტის დათვლისა მუნიციპალიტეტების მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ გვიხდება ნაკლებად ავღწეროთ მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მდგომარეობა და პირდაპირ განვიხილავთ ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებს.

## თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

### შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2020-2025 წლებში

**შემოსულობები**

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2022-2025 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასვე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად.

**ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის შემოსულობები ძირითდი კატეგორიების მიხედვით 2020 –2025 წლებში**

| დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა | 2022 წლის პროექტი | 2023 წლის პროექტი | 2024 წლის პროექტი | 2025 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსულობები სულ | 24,704.1 | 25,499.9 | 16,086.7 | 16,681.7 | 17,956.3 | 19,236.4 |
| შემოსავლები | 22,807.7 | 22,018.5 | 15,503.8 | 16,681.7 | 17,956.3 | 19,236.4 |
| გადასახადები | 12,204.5 | 12,952.2 | 14,558.8 | 15,679.1 | 16,870.1 | 18,099.7 |
| საშემოსავლო გადასახადი | - | - | | | | |
| დამატებითი ღირებულების გადასახადი | 10,704.5 | 11,552.2 | 13,058.8 | 14,179.1 | 15,370.1 | 16,599.7 |
| ქონების გადასახადი | 1,500.0 | 1,400.0 | 1,500.0 | 1,500.0 | 1,500.0 | 1,500.0 |
| გრანტები | 9,732.7 | 8,266.3 | 255.0 | 262.6 | 266.2 | 266.7 |
| საერთაშორისო ორგანიზ. მიღებული გრანტები | | | | | | |
| გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან | 9,732.7 | 8,266.3 | 255.0 | 262.6 | 266.2 | 266.7 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | - | - | | | | |
| მიზნობრივი ტრანსფერი | 273.2 | 345.7 | 255.0 | 262.6 | 266.2 | 266.7 |
| კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები | 9,459.5 | 7,920.6 | - | - | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სხვა შემოსავლები | 870.5 | 800.0 | 690.0 | 740.0 | 820.0 | 870.0 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 214.6 | 1,153.3 | 560.0 | - | - | - |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენება) | 1,681.7 | 2,328.0 | 22.9 | - | - | - |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვება) | | | | | | |

## გადასახდელები

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალიწინებით 2022-2025 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

### ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გადასახდელები პრიორიტეტების მიხედვით

### 2020 –2025 წლებში

| დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა | 2022 წლის პროექტი | 2023 წლის პროექტი | 2024 წლის პროექტი | 2025 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გადასახდელები სულ** | **24,704.1** | **27,479.9** | **16,086.7** | **16,681.7** | **17,956.3** | **19,236.4** |
| ინფრასტრუქტურის განვითარება | 14,448.3 | 13,008.8 | 5,162.9 | 6,519.0 | 7,498.7 | 8,252.7 |
| დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1,043.2 | 1,310.4 | 1,352.5 | 1,280.0 | 1,325.0 | 1,562.0 |
| განათლება | 4,626.1 | 4,778.1 | 3,019.0 | 2,750.0 | 2,880.0 | 3,000.0 |
| კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 942.2 | 2,238.1 | 1,234.8 | 1,255.0 | 1,345.0 | 1,475.0 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 1,127.4 | 2,878.3 | 1,091.7 | 998.0 | 1,017.0 | 1,042.5 |
| მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 2,516.9 | 3,266.2 | 4,225.8 | 3,879.7 | 3,890.6 | 3,904.2 |

## ბიუჯეტის ბალანსი

### ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

### 2020 –2025 წლებში

| დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა | 2022 წლის პროექტი | 2023 წლის პროექტი | 2024 წლის პროექტი | 2025 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|---|---|
| I. შემოსავლები | 22,807.7 | 23,998.5 | 15,503.8 | 16,681.7 | 17,956.3 | 19,236.4 |
| გადასახადები | 12,204.5 | 12,952.2 | 14,558.8 | 15,679.1 | 16,870.1 | 18,099.7 |
| გრანტები | 9,732.7 | 10,246.3 | 255.0 | 262.6 | 266.2 | 266.7 |
| სხვა შემოსავლები | 870.5 | 800.0 | 690.0 | 740.0 | 820.0 | 870.0 |
| II. ხარჯები | 8,418.1 | 12,115.2 | 11,813.1 | 11,373.3 | 11,636.2 | 12,219.3 |
| შრომის ანაზღაურება | 1,493.7 | 1,873.0 | 2,871.7 | 2,654.5 | 2,654.5 | 2,654.5 |
| საქონელი და მომსახურება | 1,452.3 | 1,777.5 | 1,749.1 | 2,030.3 | 1,999.8 | 2,077.3 |
| პროცენტი | 53.5 | 40.0 | 30.0 | 22.1 | 15.4 | 8.5 |
| სუბსიდიები | 4,501.6 | 5,326.5 | 6,008.6 | 5,647.0 | 5,926.0 | 6,416.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 528.0 | 512.6 | 486.3 | 495.4 | 500.5 | 507.0 |
| სხვა ხარჯები | 339.2 | 2,484.3 | 612.4 | 469.0 | 485.0 | 501.0 |
| III. საოპერაციო სალდო | 14,389.7 | 11,883.3 | 3,690.7 | 5,308.4 | 6,320.1 | 7,017.1 |
| IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება | 15,952.4 | 14,126.9 | 3,629.2 | 5,224.0 | 6,235.7 | 6,932.7 |
| ზრდა | 16,167.1 | 15,280.3 | 4,189.2 | 5,224.0 | 6,235.7 | 6,932.7 |
| კლება | 214.6 | 1,153.3 | 560.0 | - | - | - |
| V. მთლიანი სალდო | - 1,562.8 | - 2,243.6 | 61.5 | 84.4 | 84.4 | 84.4 |
| VI. ფინანსური აქტივების ცვლილება | - 1,681.7 | - 2,328.0 | - 22.9 | - | - | - |
| ზრდა | - | - | - | - | - | - |
| ვალუტა და დეპოზიტები | - | - | - | - | - | - |
| კლება | 1,681.7 | 2,328.0 | 22.9 | - | - | - |
| ვალუტა და დეპოზიტები | 1,681.7 | 2,328.0 | 22.9 | - | - | - |
| VII. ვალდებულებების ცვლილება | - 119.0 | - 84.4 | - 84.4 | - 84.4 | - 84.4 | - 84.4 |
| კლება | 119.0 | 84.4 | 84.4 | 84.4 | 84.4 | 84.4 |
| საშინაო | 119.0 | 84.4 | 84.4 | 84.4 | 84.4 | 84.4 |
| სესხები | 119.0 | 84.4 | 84.4 | 84.4 | 84.4 | 84.4 |
| სხვა კრედიტორული დავალიანებები | - | - | - | - | - | - |
| VIII. ბალანსი | 0.0 | - 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

### 2020-2021 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა

## 2020 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, ფინანსური აქტივების კლება, ვალდებულებების ზრდა) და ნაშთი ცვლილების გეგმა განისაზღვრა 27293.9 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 24704.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 91%-ი.

ბიუჯეტის **შემოსულობების** (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 23100.3 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 22816.3 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 99 პროცენტით.

ბიუჯეტის **შემოსავლების** (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით მობილიზებულია 23100.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (22601.7 ათასი ლარი) 98 პროცენტია.მათ შორის:

**გადასახადების** სახით მობილიზებულია 11110.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 11704.5 ათასი ლარის 95 პროცენტია. აკუმულირებული თანხის უდიდესი ნაწილი დამატებითი ღირებულების გადასახადზე მოდის. დამატებითი ღირებულების

გადასახადიდან მიღებული შემოსავალმა შეადგინა 9534.2 ათასი ლარი, ქონების გადასახადიდან მიღებულია 1576.2 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი - 612.2 ათასი ლარი, მიწის გადასახადი - 956.8 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი - 7.3 ათასი ლარი.

**გრანტების** სახით მიღებულია 10511.6 ათასი ლარი, მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი - 500.0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 306.2 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით მიღებულია - 9705.4 ათასი ლარი.

**სხვა შემოსავლების** სახით მობილიზებულია 979.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 870.5 ათასი ლარის 113%-ია.

| ბიუჯეტის შემოსავლები | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დასახელება | **2020 წლის გეგმა** | | | **2020 წლის დაზუსტებული გეგმა** | | | **2020 წლის ფაქტი** | | | **2020 წლის შესრულება %** |
| | | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | |
| | | | | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | სულ |
| შემოსავლები | **13,147.3** | **13,147.3** | **-** | **23,100.3** | **13,348.2** | **9,752.1** | **22,601.7** | **12,896.3** | **9,705.4** | 98% |
| გადასახადები | 12,046.8 | 12,046.8 | - | 11,704.5 | 11,704.5 | - | 11,110.4 | 11,110.4 | - | 95% |
| გრანტები | 230.0 | 230.0 | - | 10,525.3 | 773.2 | 9,752.1 | 10,511.6 | 806.2 | 9,705.4 | 100% |
| სხვა შემოსავლები | 870.5 | 870.5 | | 870.5 | 870.5 | | 979.6 | 979.6 | | 113% |

**არაფინანსური აქტივების კლებიდან** 2020 წელს მობილიზებული იქნა 214.6 ათასი ლარის შემოსავალი, მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 71.9 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან - 142.7 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების წილი შემოსულობებში 0.92% შეადგენს.

**ფინანსური აქტივების კლების** სახით ასახულ იქნა 1887.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (4064.6 ათასი ლარის) 46.4%-ია. მათ შორის: ვალუტა და დეპოზიტების სახით ასახულ იქნა 5.6 ათასი ლარი (მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სესხის უზრუნველყოფის მიზნით წინა წლებში დეპოზიტზე განთავსებული თანხის დაბრუნება), სესხების სახით 7.5 ათასი ლარი (ამხანაგობის პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხის დაბრუნება). ფინანსური აქტივებიდან მიღებული თანხების წილი შემოსულობებში 0.1% შეადგენს.

2020 წლის დასაწყისისთვის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი შეადგენდა 4206.5 ათას ლარს, რომელიც გაიწერა ხარჯებში და დაზუსტდა წლის განმავლობაში ბიუჯეტის ცვლილებების დროს. ხოლო წლის დასასრულისთვის არსებულმა ნაშთმა შეადგინა 2318.7 ათასი ლარი.

2020 წელს **გადასახდელების** საკასო შესრულების - 91%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც 24704.1 ათას ლარს შეადგენს.

2020 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 24704.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (27293.9 ათასი ლარი) 91%-ია. მათ შორის:

- ✓ 01 00 მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 2516.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (3019.1 ათასი ლარი) 82%-ია.
- ✓ 02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება - 14448.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (15523.8 ათასი ლარი) 93%-ია.
- ✓ 03 00 დასუფთავება და გრემოს დაცვა - 1043.2 ათასი ლარი, რაც გეგმის ( 1093.8 ათასი ლარი) 95%-ია.
- ✓ 04 00 განათლება-4626.1 ათასი ლარი, რაც გეგმის ( 5071.4 ათასი ლარი) 91%-ია.
- ✓ 05 00 კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 942.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (1327,0 ათასი ლარი) 71%-ია.
- ✓ 06 00 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1127.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (1224,0 ათასი ლარი) 92%-ია.

მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიმართა:

- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 2319.5 ათასი ლარი;
- ✓ სამოქალაქო თავდაცვა 78.5 – ათასი ლარი;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობა –10231.2 ათასი ლარი;
- ✓ გარემოს დაცვა – 1038.2 ათასი ლარი;
- ✓ საბინაო–კომუნალური მეურნეობა – 4222.1 ათასი ლარი;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა – 421.5 ათასი ლარი;
- ✓ დასვენება, კულტურა და რელიგია – 942.2 ათასი ლარი;
- ✓ განათლება –4626.1 ათასი ლარი;
- ✓ სოციალური დაცვა –705.9 ათასი ლარი.

2020 წელს ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის პროგრამებით ისრგებლა 2010 -მა ბენეფიციარმა, პროგრამების განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიმართა 705.9 ათასი ლარი, მათ შორის:

- ✓ ჰემოდიალიზზე და პერიტონიალურ დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვის პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 31.4 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 33 -მა ბენფიციარმა.
- ✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 149.6 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 486 -მა ბენფიციარმა.
- ✓ სამედიცინო კვლევების, სტაციონალური მომსახურების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 220.5 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 677-მა ბენეფიციარმა.
- ✓ უმწეო ხანდაზმულთა სოციალური რეაბილიტაციის თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 48.0 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 70-მა ბენეფიციარმა.
- ✓ სტუდენტების დახმარების პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 7.0 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 14 -მა ბენეფიციარმა.
- ✓ მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 110.7 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 134 -მა ბენეფიციარმა.

- ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) დახმარების პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 12.6 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 63 -მა ბენეფიციარმა.
- ✓ ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 4.5 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 22-მა ბენეფიციარმა.
- ✓ მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 20.3 ათასი ლარი, პროგრამით 24-მა ბენეფიციარმა.
- ✓ უკიდურესად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის თბობის სეზონთან დაკავშირებით ელექტროენერგიის ან/და ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 31.7 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 317-მა ბენეფიციარმა.
- ✓ ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 1.5 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 3 -მა ბენეფიციარმა.
- ✓ სარიტუალო მომსახურეობის პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 2.7 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 8 ბენეფიციარმა.
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე (პირველი ჯგუფი) პირთა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა (18 წლამდე ასაკის) დახმარების პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 39.9 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 159-მა ბენეფიციარმა.

- საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე, გზების მოვლა-შენახვაზე, ახალი გზების მშენებლობაზე, შიდა ქუჩების რეაბილიტაციაზე, დახარჯული იქნა 8862.4 ათასი ლარი;

გზების კაპიტალური შეკეთების პროგრამის ფარგლებში 2020 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 28 გზის/ქუჩის რეაბილიტაცია, რომელთა საერთო ფართობი შეადგენს 38089 გრძივ მეტრს. აღნიშნული რეაბილიტირებული გზებით/ქუჩებით სარგებლობს დაახლოებით 37240 ბენეფიციარი, ასევე პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის 2 სოფელში მოეწყო მილხიდები (ჯამში 143 გრძივი მეტრი) 6 სოფელში მოეწყო საცალფეხო ხიდი (ჯამში 55 გრძივი მეტრი) ხოლო მუნიციაპლიტეტის 6 ლოკაციაზე მოეწყო სიჩქარის შემაფერხებელი ბარიერები და საგზაო ნიშნები. აღნიშნული მილხიდებით და ხიდებით სარგებლობს დაახლოებით 8185 ბენეფიციარი, ხოლო სიჩქარის შემაფერხებელი ბარიერებით და საგზაო ნიშნებით სარგებლობს დაახლოებით 3000 ბენეფიციარი.

გზების მიმდინარე შეკეთების პროგრამის ფარგლებში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცალკეულ დაზიანებულ ადგილებზე დაიგო ასფალტო-ბეტონის საფარი ჯამში 3300 კვ.მ აღნიშნული რეაბილიტირებული გზებით სარგებლობს 15000 ბენეფიციარი.

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის მიზნით მიიმართა 3138.7 ათასი ლარი (მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 31 საბავშვო ბაგა-ბაღი და ირიცხება საშუალოდ 1490-მდე აღსაზრდელი).
- კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის პროგრამების განხორციელების მიზნით მიიმართა 942.2 ათასი ლარი.
- სესხების მომსახურებასა და ვალების დაფარვაზე მიმართულ იქნა 119.0 ათასი ლარი.

**2021 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულება**

მიმდინარე პერიოდის მდგომარეობით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების და ხარჯების გეგმა შეადგენს 27479880 ლარს. რაც შეეხება 2021 წლის 9 თვის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გეგმებს შემოსულობებისა და ხარჯების ნაწილში - შეადგინა 20498328 ლარი.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2021 წლის 9 თვის შემოსავლების დაზუსტებული გეგმა იყო 17748994 ლარი, შესრულებამ შეადგინა 15437709 ლარი და გეგმა შესრულდა 87 პროცენტით. მათ შორის შემოსავლების სახეების მიხედვით:

გადასახადების გეგმა იყო 9747900 ლარი, შემოვიდა 9373798 ლარი და გეგმა შესრულდა 96 პროცენტით. სხვა შემოსავლების გეგმა იყო 510500 ლარი, შემოვიდა 691378 ლარი, გეგმის შესრულებამ შეადგინა 135 პროცენტი. ამავე პერიოდში შემოვიდა გრანტები 5372534 ლარი.

მიმდინარე პერიოდის ნაშთის ცვლილებამ შეადგინა 2232234 ლარი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 9 თვის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ ნაშთის ჩათვლით შეადგინა 20498328 ლარი, შესრულებამ შეადგინა 18676613 ლარი და გეგმა შესრულდა 91 პროცენტით.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 9 თვის გადასახდელების (ხარჯების) გეგმა იყო 20498328 ლარი, შესრულებამ შეადგინა 15666640 ლარი, გეგმა შესრულდა 76 პროცენტით, მათ შორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განსაზღვრულ პრიორიტეტების მიხედვით:

1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 522000 ლარი, შესრულებამ შეადგინა 442864 ლარი და გეგმა შესრულდა 85 პროცენტით.
2. მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 1400100 ლარი, შესრულებამ შეადგინა 1128325 ლარი და გეგმა შესრულდა 81 პროცენტით.
3. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურისთვის გეგმიური 74400 ლარის ნაცვლად გახარჯული იქნა 63752 ლარი და გეგმა შესრულდა 86 პროცენტით.
4. ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციისათვის ხარჯები გეგმით გათვალისწინებული იყო 9699930 ლარი, შესრულებამ შეადგინა 7652458 ლარი (79%).
5. დასუფთავებისა და გარემოს დაცვის ხარჯი გეგმით გათვალისწინებული იყო 999200 ლარი, შესრულებამ შეადგინა 879786 ლარი (88%).
6. საგანმანათლებლო ღონისძიებებისათვის ხარჯები განსაზღვრული იქნა 4054273 ლარი, შესრულებამ შეადგინა 3362519 ლარი (83%).
7. კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის ხელშეწყობის ხარჯების გეგმა იყო 1376632 ლარი, შესრულებამ შეადგინა 939910 ლარი და გეგმა შესრულდა 68 პროცენტით.
8. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის გეგმით გათვალისწინებული იყო 2108493 ლარი, შესრულებამ შეადგინა 1050048 ლარი (50%).
9. მუნიციპალიტეტის ვალდებულებების დაფარვას მოხმარდა 55778 ლარი.
10. მერის ბრძანებებით სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და გახარჯული თანხის ოდენობამ შეადგინა 64400 ლარი.

2021 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით ფინანსდება გზების მშენებლობა, ნაპირსამაგრების და სანიაღვრე არხების მოწყობა, სპორტული ნაგებობების მშენებლობა და სარეკონსტრუქციო სამუშაოები, წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა და რეაბილიტაცია და ა.შ.

- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებისათვის, გზების მოვლა-შენახვისათვის, ახალი გზების მშენებლობისათვის და შიდა ქუჩების რეაბილიტაციისათვის ბიუჯეტის 9 თვის გეგმით გათვალისწინებულია 5315170 ლარი, შესრულებამ შეადგინა 4227221 ლარი და გეგმა შესრულდა 80%-ით;
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის 9 თვის გეგმით გათვალისწინებულია 1074300 ლარი, შესრულებამ შეადგინა 596653 ლარი და გეგმა შესრულდა 56%-ით;
- სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაციასა და ექსპლოატაციისათვის 9 თვის გეგმით გათვალისწინებულია 760232 ლარი, შესრულებამ შეადგინა 558673 ლარი და გეგმა შესრულდა 73%-ით;
- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის 9 თვის გეგმით გათვალისწინებულია - 360000 ლარი, შესრულებამ შეადგინა 311010 ლარი და გეგმა შესრულდა 86%-ით;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის მიზნით 9 თვის გეგმით გათვალისწინებულია 2082200ლარი, შესრულებამ შეადგინა 1962491 ლარი და გეგმა შესრულდა 94%-ით; (მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 30 საბავშვო ბაგა-ბაღი და ირიცხება საშუალოდ 1600-მდე აღსაზრდელი).
- სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციისა და მშენებლობისათვის 9 თვის გეგმით გათვალისწინებულია 1430215 ლარი, შესრულებამ შეადგინა 949613 ლარი და გეგმა შესრულდა 66%-ით;
- დასუფთავებისა და გარემოს დაცვისათვის 9 თვის გეგმით გათვალისწინებულია 999200ლარი, შესრულებამ შეადგინა 879786 ლარი და გეგმა შესრულდა 88%-ით;
- სპორტის განვითარების ხელშეწყობისათვის 9 თვის გეგმით გათვალისწინებულია 533456 ლარი, შესრულებამ შეადგინა 374964 ლარი და გეგმა შესრულდა 70%-ით;
- კულტურის განვითარების ხელშეწყობისათვის 9 თვის გეგმით გათვალისწინებულია 821200 ლარი, შესრულებამ შეადგინა 558521 ლარი და გეგმა შესრულდა 68%-ით;

## თავი III. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

### ინფრასტრუქტურის განვთარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

(ათ. ლარი)

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა | 2022 წლის პროექტი | 2023 წლის პროექტი | 2024 წლის პროექტი | 2025 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **02 00** | **ინფრასტრუქტურის განვითარება** | **14,448.3** | **13,008.8** | **5,162.9** | **6,519.0** | **7,498.7** | **8,252.7** |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 8,862.4 | 7,207.8 | 3,846.7 | 3,809.0 | 4,488.7 | 5,092.7 |
| 02 01 01 | გზების მიმდინარე შეკეთება | 146.1 | 0.0 | 200.0 | 300.0 | 370.0 | 420.0 |
| 02 01 02 | გზების კაპიტალური შეკეთება | 8,716.4 | 7,203.1 | 3,582.3 | 3,309.0 | 4,038.7 | 4,592.7 |
| 02 01 03 | საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება | 0.0 | 4.8 | 64.4 | 200.0 | 80.0 | 80.0 |
| 02 02 | წყლის სისტემების განვითარება | 1,684.2 | 1,690.4 | 93.9 | 1,200.0 | 1,350.0 | 1,400.0 |
| 02 02 01 | სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია | 82.6 | 76.0 | 93.9 | 100.0 | 100.0 | 100.0 |
| 02 02 02 | სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია | 1,601.6 | 1,614.4 | 0.0 | 1,100.0 | 1,250.0 | 1,300.0 |
| 02 03 | გარე განათება | 754.3 | 874.0 | 750.3 | 890.0 | 980.0 | 1,010.0 |
| 02 03 01 | გარე განათების ქსელის ექსპლოტაცია | 200.4 | 173.5 | 200.3 | 90.0 | 110.0 | 110.0 |
| 02 03 02 | გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია | 553.9 | 700.5 | 550.0 | 800.0 | 870.0 | 900.0 |
| 02 04 | მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 04 01 | მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების მშენებლობა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია | 0.0 | - | - | - | - | - |
| 02 04 02 | ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია | 0.0 | - | - | - | - | - |
| 02 05 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 58.2 | 746.6 | 112.0 | 70.0 | 70.0 | 80.0 |
| 02 05 01 | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია | 0.0 | 686.6 | 52.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 05 02 | საზოგადოებრივი სივრცეების მოვლა-პატრონობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 05 03 | სადღესასწაულო ღონისძიებები | 58.2 | 60.0 | 60.0 | 70.0 | 70.0 | 80.0 |
| 02 05 04 | შენობების ფასადების რეაბილიტაცია | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 05 05 | სასაფლაობის მოვლა-პატრონობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 06 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები | 1,368.8 | 1,335.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 07 | სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 933.3 | 760.2 | 140.0 | 200.0 | 240.0 | 270.0 |
| 02 08 | საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა | 787.1 | 394.0 | 220.0 | 350.0 | 370.0 | 400.0 |

*პროგრამის განაცხადის ფორმა N1*

| | |
|---|---|
| **პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:** | **ინფრასტრუქტურის განვითარება** |
| **პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:** | 02 01 |
| **პროგრამის დასახელება:** | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება |
| **პროგრამის განმახორციელებელი:** | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია |
| **პროგრამის განხორციელების პერიოდი:** | 2022 -2025 |
| **პროგრამის მიზანი და აღწერა** | პროგრამა ითვალისწინებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.<br>**პროგრამის მიზანია:**<br>• მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტში არსებობდეს გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა<br>• მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა ოჯახს ჰქონდეს უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება ადმინისტრაციულ ცენტრამდე და ქალაქის მიმართულებით |

| ქვეპროგრამის დასახელება | სულ | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი |
|---|---|---|---|---|---|
| გზების მიმდინარე შეკეთება | 1,290.0 | 200.0 | 300.0 | 370.0 | 420.0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გზების კაპიტალური შეკეთება | | 15,522.7 | 3,582.3 | 3,309.0 | 4,038.7 | 4,592.7 |
| საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება | | 424.4 | 64.4 | 200.0 | 80.0 | 80.0 |
| **სულ პროგრამა** | | 17237.1 | 3,846.7 | 3,809.0 | 4,488.7 | 5,092.7 |
| *მ.შ. კაპიტალური პროგრამები* | | 15947.1 | 3646.7 | 3509.0 | 4118.7 | 4672.7 |
| **მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | | მუნიციპალიტეტის ქალაქის და სოფლების გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა. | | | | |

## პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები ფორმაN1-1

| მოსალოდნელი საბოლოო შედეგი (OUTCOME) | შედეგის ინდიკატორები | | | | | | გაზომვის ერთეული | გეგმიური გადახრა | პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური) | მეთოდოლოგია | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დასახელება | 2021 წელი (საბაზისო) | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | | | | | |
| მუნიციპალიტეტის ქალაქის და სოფლების გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა. | გზების ფართობი, რომლებზეც ჩატარდა გზების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები | 2020 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდა 2960 კვ/მ გზას; | 2022 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდება არანაკლებ 3500 კვ/მ გზას; | მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდება 6000 კვ/მ გზას; | მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდება 8200კვ/მ გზას; | მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდება 9300 კვ/მ გზას; | კვ/მ | 10% | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური | | საგზაო ინფრასტრუქტურა საჭიროებს მუდმივ მოვლა-შეკეთებას, შესაბამისად კონკრეტული პერიოდისთვის შესაძლებელია ვერ განხორციელდეს მუნიციპალური გზების სრული მოცვა |
| | გზების სიგრძე, სადაც განხორციელდება გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია | 2021 წელს გზების სარეაბილიტაციო სამუშაობის შესრულება დაგეგმილია არანაკლებ 5679 გრძ/მ-ზე | გზების კაპიტალური შეკეთება დაგეგმილია არანაკლებ 15000 გრძ/მ-ზე | გზების კაპიტალური შეკეთება დაგეგმილია არანაკლებ 12000 გრძ/მ-ზე | გზების კაპიტალური შეკეთება დაგეგმილია არანაკლებ 14000 გრძ/მ-ზე | გზების კაპიტალური შეკეთება დაგეგმილია არანაკლებ 15000 გრძ/მ-ზე | გრძ/მ | 10 | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური | | მიზნობრივი მაჩვენებელი შესაძლებელია გაიზარდოს ჩატარებული ტენდერის ეკონომიებისა და სხვა ფინანსური რესურსების მობილიზების ხარჯზე; |

| *ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა N2* | | | | |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:** | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | | | |
| **ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:** | | | | **02 01 01** |
| **ქვეპროგრამის დასახელება:** | **გზების მიმდინარე შეკეთება** | | | |
| არის ქვეპროგრამა ახალი? | | | | არა |
| **თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?** | | | | |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი:** | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია | | | |
| **დაფინანსების წყარო** | **2022 წელი** | **2023 წელი** | **2024 წელი** | **2025 წელი** |
| მუნიციპალური ბიუჯეტი | 200.0 | 300.0 | 370.0 | 420.0 |
| სახელმწიფო ბიუჯეტი | | | | |
| სხვა ...... | | | | |
| **სულ ქვეპროგრამა** | 200.0 | 300.0 | 370.0 | 420.0 |
| *მ.შ. კაპიტალური პროექტები* | 0 | 0 | 0 | 0 |
| მიზანი და აღწერა | ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული ა/ბეტონის საფარიანი შიდა გზების ორმოულ შეკეთებას.<br>**ქვეპროგრამის მიზანია:**<br>• მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტში არსებობდეს გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა<br>• მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა ოჯახს ჰქონდეს უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება ადმინისტრაციულ ცენტრამდე და ქალაქის მიმართულებით | | | |
| **ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება** | 2022 | 2023 | 2024 | 2025 |
| გზების მიმდინარე შეკეთება | 200.0 | 300.0 | 370.0 | 420.0 |
| **ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა** | | | | |
| **ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება** | **1 კვარტალი** | **2 კვარტალი** | **3 კვარტალი** | **4 კვარტალი** |
| გზების მიმდინარე შეკეთება | × | × | × | × |
| **შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2022 წელი)** | მუნიციპალიტეტის ქალაქის და სოფლების გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა | | | |

## ქვეპროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

| მოსალოდნელი საბოლოო შედეგი (OUTCOME) | შედეგის ინდიკატორები | | | | | | გაზომვის ერთეული | გეგმიური გადახრა | პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური) | მეთოდოლოგია | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დასახელება | 2021 წელი (საბაზისო) | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | | | | | |
| მუნიციპალიტეტის ქალაქის და სოფლების გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა. | გზების ფართობი, რომლებზეც ჩატარდა გზების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები | 2020 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდა 2960 კვ/მ გზას; | 2022 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდება არანაკლებ 3500 კვ/მ გზას; | მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდება 6000 კვ/მ გზას; | მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდება 8200კვ/მ გზას; | მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდება 9300 კვ/მ გზას; | კვ/მ | 10% | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური | | საგზაო ინფრასტრუქტურა საჭიროებს მუდმივ მოვლა-შეკეთებას, შესაბამისად კონკრეტული პერიოდისთვის შესაძლებელია ვერ განხორციელდეს მუნიციპალური გზების სრული მოცვა |

| *ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა N2* | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა: | | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | | |
| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | | | | 02 01 02 |
| ქვეპროგრამის დასახელება: | | გზების კაპიტალური შეკეთება | | |
| არის ქვეპროგრამა ახალი? | | | | არა |
| თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა? | | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია | | |
| დაფინანსების წყარო | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი |
| მუნიციპალური ბიუჯეტი | 3,582.3 | 3,309.0 | 4,038.7 | 4,592.7 |
| სახელმწიფო ბიუჯეტი | | | | |
| სხვა ...... | | | | |
| სულ ქვეპროგრამა | 3,582.3 | 3,309.0 | 4,038.7 | 4,592.7 |
| *მ.შ. კაპიტალური პროექტები* | 3,582.3 | 3,309.0 | 4,038.7 | 4,592.7 |
| მიზანი და აღწერა | ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შიდა გზების მოწყობა - რეაბილიტაციას.<br>**ქვეპროგრამის მიზანია:**<br>• მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტში არსებობდეს გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა<br>• მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა ოჯახს ჰქონდეს უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება ადმინისტრაციულ ცენტრამდე და ქალაქის მიმართულებით | | | |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება | 2022 | 2023 | 2024 | 2025 |
| გზების კაპიტალური შეკეთება | 3,582.3 | 3,309.0 | 4,038.7 | 4,592.7 |
| **ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა** | | | | |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება | 1 კვარტალი | 2 კვარტალი | 3 კვარტალი | 4 კვარტალი |
| გზების მიმდინარე შეკეთება | × | × | × | × |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2022 წელი) | მუნიციპალიტეტის ქალაქის და სოფლების გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა | | | |

| ქვეპროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შედეგის ინდიკატორები | | | | | | გაზომვის ერთეული | ბეგმური გადახრა | პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური) | მეთოდოლოგია | რისკი |
| | დასახელება | 2021 წელი (საბაზისო) | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | | | | | |
| მოსალოდნელი საბოლოო შედეგი (OUTCOME) | გზების სიგრძე, სადაც განხორციელდება გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია | 2021 წელს გზების სარეაბილიტაციო სამუშაობის შესრულება დაგეგმილია არანაკლებ 5679 გრძ/მ-ზე | გზების კაპიტალური შეკეთება დაგეგმილია არანაკლებ 15000 გრძ/მ-ზე | გზების კაპიტალური შეკეთება დაგეგმილია არანაკლებ 12000 გრძ/მ-ზე | გზების კაპიტალური შეკეთება დაგეგმილია არანაკლებ 14000 გრძ/მ-ზე | გზების კაპიტალური შეკეთება დაგეგმილია არანაკლებ 15000 გრძ/მ-ზე | გრძ/მ | 10% | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური | | მიზნობრივი მაჩვენებელი შესაძლებელია გაიზარდოს ჩატარებული ტენდერის ეკონომიებისა და სხვა ფინანსური რესურსების მობილიზების ხარჯზე; |

| *პროგრამის განაცხადის ფორმა N1* | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: | | | ინფრასტრუქტურის განვითარება | | | |
| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | | | | | | 02 02 |
| პროგრამის დასახელება: | წყლის სისტემების განვითარება | | | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი: | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია<br>ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის ,,სერვის ცენტრი'' | | | | | |
| პროგრამის განხორციელების პერიოდი: | | | | | 2022-2025 | |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | პროგრამა ითვალისწინებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის სისტემების მოწყობა/რეაბილიტაციას და არსებული სისტემების მოვლა-პატრონობას. პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.<br><br>წყლის სისტემების განვითრების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის ქვეპროგრამა და სასმელი წყლის სისტემის ექსპლოტაციის ქვეპროგრამა. ექსპლოტაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები, ხოლო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან.წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წლის სისტემის რეაბილიატაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წლის სისტემის ექსპლოტაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.<br>**პროგრამის მიზანია:**<br>- მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობდეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება;<br>- მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებლი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს;<br>- წყლის სისტემების ექსპლოტაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. | | | | | |
| ქვეპროგრამის დასახელება | | სულ | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი |
| სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია | | 399.0 | 93.9 | 100.0 | 100.0 | 100.0 |
| სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია | | 3650.0 | 0.0 | 1,100.0 | 1,250.0 | 1,300.0 |
| **სულ პროგრამა** | | 4,043.9 | 93.9 | 1,200.0 | 1,350.0 | 1,400.0 |
| *მ.შ. კაპიტალური პროგრამები* | | 3650.0 | - | 1100.0 | 1250.0 | 1300.0 |
| მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | • მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობს სასმელი წყლის 24 საათიანი გრაფიკი;<br>• - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს სასმელ წყალზე აქვს შეუფერხებლი წვდომა;<br>• - აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები ფუნქციონირებს გამართულად;<br>• წყლის სისტემაში პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. | | | | | |

| პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები ფორმაN1-1 | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მოსალოდნელი საბოლოო შედეგი **(OUTCOME)** | შედეგის ინდიკატორები | | | | | | გაზომვის ერთეული | გეგმიური გადახრა | პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური) | მეთოდოლოგია | რისკი |
| | დასახელება | 2021 წელი (საბაზისო) | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | | | | | |
| | წყალმომარაგების ქსელში აღმოფხვრილი დაზიანებების რაოდენობა | 180 | 185 | 185 | 190 | 200 | ცალი | 10% | ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის ,,სერვის ცენტრი'' | | ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია, დამოკიდებულია ქსელის დაძველებასთან |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სოფლების რაოდენობა რომელთა წყალმომარაგების ქსელის მომსახურება ხორციელდება პროგრამის ფარგლებში | 67 სოფელი | საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება | საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება | საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება | საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება | | 0% | ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის ,,სერვის ცენტრი'' | | |
| | მოწყობილი და რეაბილიტირებული სასმელი წყლის სისტემების რაოდენობა | 2021 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა 7660გრძ/მ მაგისტრალის მოწყობა, ასევე მოეწყო 7 ჭაბურღილი | 2022 წელს დაგეგმილია 8000 გრძ/მ სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა | 2023 წელს დაგეგმილია 8500 გრძ/მ სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა | 2024 წელს დაგეგმილია 10000 გრძ/მ სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა | 2025 წელს დაგეგმილია 10000 გრძ/მ სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა | გრძ/მ | 10% | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური, | | |

| *ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა N2* | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა: | | წყლის სისტემების განვითარება | | |
| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | | | | 02 02 01 |
| ქვეპროგრამის დასახელება: | | სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია | | |
| არის ქვეპროგრამა ახალი? | | | | არა |
| თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა? | | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | | ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის ,,სერვის ცენტრი | | |
| დაფინანსების წყარო | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი |
| მუნიციპალური ბიუჯეტი | 93.9 | 100.0 | 100.0 | 100.0 |
| სახელმწიფო ბიუჯეტი | | | | |
| სხვა ...... | | | | |
| სულ ქვეპროგრამა | 93.9 | 100.0 | 100.0 | 100.0 |
| *მ.შ. კაპიტალური პროექტები* | | | | |
| მიზანი და აღწერა | მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, მოვლა-პატრონობა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთი პრიორიტეტული საქმიანობაა. ყოველდღიურად ხდება წყლის სათავე ნაგებობებზე შემოვლა შემოწმებები, დაზიანებული მაგისტრალების აღდგენა, შედუღება, ურდულების შეკეთება შეცვლა, იცლება ავზები, სუფთავდება და ივსება, ხდება გაბიდნული მილების გაწმენდა და სხვა.<br>**ქვეპროგრამის მიზანია:**<br>- მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობდეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება;<br>- მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებლი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს;<br>- წყლის სისტემების ექსპლოტაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. | | | |
